# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

## ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტსა“ და სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის

ქ. ბათუმი 29 ნოემბერი, 2024 წელი

**ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი“** (შემდგომ ტექსტში - „გალობის უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი მისი რექტორის - არქიმანდრიტ იოანე (სილევან) კიკვაძის სახით და **სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომ ტექსტში - „ხელოვნების უნივერსიტეტი“) - წარმოდგენილი მისი რექტორის, თეიმურაზ კეჟერაძის სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

*მუხლი 1. მემორანდუმის საგანი*

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა ქართული ტრადიციული გალობისა და ქართული ხალხური სიმღერის დაცვა-პოპულარიზაციის მიზნით.

*მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი*

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია:

ა) ქართული ტრადიციული გალობისა და ქართული ხალხური სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

ბ) მომავალი თაობებისთვის ინტერესის გაღვივება ტრადიციული სამუსიკო ხელოვნებისადმი;

გ) ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართულია საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობის, სამეცნიერო-სახელოვნებო კვლევების და სტუდენტებისა და პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისკენ.

*მუხლი 3. თანამშრომლობის ფარგლები*

1. გალობის უნივერსიტეტი კისრულობს ვალდებულებას:

ა) მემორანდუმის ფარგლებში ითანამშრომლოს ხელოვნების უნივერსიტეტთან;

ბ) უზრუნველყოს ხელოვნების უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა მიღება მათთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;

გ) მიიღოს მონაწილეობა კულტურულ-საგანმანათლებლო, შემოქმედებით პროექტებსა და სხვა სახელოვნებო ტიპის ღონისძიებებში.

3. ხელოვნების უნივერსიტეტი კისრულობს ვალდებულებას:

ა) ხელი შეუწყოს ადგილზე მივლინებულ სპეციალისტებს და სტუდენტებს შემოქმედებითი და სასწავლო-მეთოდური სახის აქტივობების განხორციელებაში;

ბ) უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში მყოფი სტუდენტებისა და პედაგოგების მონაწილეობა და ჩართულობა ერთობლივად განხორციელებულ კულტურულ-საგანმანათლებლო და შემოქმედებით პროექტებში.

*მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედება და მისი ვადაზე ადრე შეწყვეტა*

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს უვადოდ.
2. წინამდებარე მემორანდუმი შეიძლება გაუქმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

*მუხლი 5. დასკვნითი დებულებები*

1.წინამდებარე მემორანდუმი ასახავს ზოგად ნორმებს, რომლებიც მხარეთა შორის მიღებული უნდა იქნეს შემდგომი თანამშრომლობის მიზნით. წინამდებარე მემორანდუმის თანახმად, კონკრეტული საქმიანობის/პროექტის/პროგრამის განხორციელებისას აუცილებელია შესაბამისი შეთანხმების გაფორმება.

2. წინამდებარე მემორანდუმში შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

3.მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა მოგვარდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

4. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

*მუხლი 6. მხარეთა რეკვიზიტები*

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი“ - ს/კ 404924310
მის.: ქ.თბილისი, ვაკის რ-ნი, ზ.ანჯაფარიძის ქ.№21
ელ.ფოსტა: info@galoba.edu.ge
ვებგვერდი:www.galoba.edu.ge

რექტორი

*ხელმოწერა*

არქიმანდრიტი იოანე (სილევან) კიკვაძე

პროორექტორი

*ხელმოწერა*

თამარ ჩხეიძე

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი - ს/კ 245628496
მის.: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას №19/32
ელ.ფოსტა:info@batu.edu.ge
ვებგვერდი: www.batu.edu.ge

რექტორი

*ხელმოწერა*

თეიმურაზ კეჟერაძე